



ბორჯომი

25 იანვარი
სუთხაბათი
2024 წელი
№4 (9318)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

სოციალური პაპები საკონსულტაციო გეგმისად



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის სხდომა გაიმართა. მინისტრთა კაბინეტის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 9 საკითხი განიხილეს.

სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ფართოვდება ქრონიკულ დაავადებათა სამკურნალო მედიკამენტების პროგრამა.

კერძოდ, 15 იანვრიდან შესაბამისი კატეგორიის თუ სტატუსის მქონე მოქალაქეები გლავუკომის სამკურნალო მედიკამენტს მთელი წლის განმავლობაში სრული დაფინანსებით მიიღებენ.

ამასთან, შესაბამისი კატეგორიის ბენეფიციარებს მთელი წლის განმავლობაში სრულად დაუფინანსდებათ: გულ-სისხლძარღვთა, ფილტვის, ფარისებრი ჯირკვლის ქრონიკული დაავადებები; დიაბეტის (ტიპი 2); პარკინსონისა და ეპილეფსიის სამკურნალო მედიკამენტები.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში შესული სახსრები შეეხება: სოციალურად დაუცველ პირებს (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000 ერთეულს), პენსიონერებს, ვეტერანებს, უშშ პირებსა (უშშ ბავშვები, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები) და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობას.

მინისტრთა კაბინეტის წევრებმა ასევე განიხილეს საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „სოციალური პაპების განსაზღვრის შესახებ“. ცვლილებების თანახმად, მიმდინარე წლის იანვრიდან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის სოციალური პაპები 50 ლარით, 340-დან 390 ლარამდე იზრდება. ყველა სხვა კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ფინანსური დახმარება 20 ლარით იზრდება, მათ შორის მნიშვნელოვნად გამოხატული უშშ პირის სოციალური პაპები 175-დან 195 ლარამდე იზრდება. ბიუჯეტი დაახლოებით 46 მლნ ლარს შეადგენს. გაზრდილი სოციალური პაპებით 123 000-მდე ბენეფიციარი ისარგებლებს.

2023 წლის მონაცემებით საქართველო ექვს მილიონზე მეტი მგზავრია გალაყვანილი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ შეგამებული მონაცემების მიხედვით, 2023 წელს, საქართველო ს აეროპორტში რეგულარული და არარეგულარული რეისებით 6 013 995 მგზავრს მოემსახურა, რაც მგზავრთა ნაკადის რეკორდული მაჩვენებელია ქვეყნისთვის.



მაკრტიანს მალაღი შეტასკმა



2023-24 წლის ზამთრის სეზონზე, ბაკურიანი და გუდაურის საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS) 3 მასშტაბურ სპორტულ ასპარეზოებს უმასპინძლებს. ბაკურიანში უკვე დასრულდა ფრისტილის მსოფლიო თასის ეტაპები - მოგულისა და დუბალ მოგულის დისციპლინაში, რომელიც კომპანია სილქნეტის მხარდაჭერით 22-23 დეკემბერს მიმდინარეობდა.

სილქნეტი მეორე ათეული წელია

საქართველოს სათხილამურო ფედერაციის გენერალური სპონსორია. სილქნეტის მხრიდან თანამდევრულმა მხარდაჭერამ, ფედერაციას გაუხსნა გზა საერთაშორისო ასპარეზზე. შედეგად, 2023 წელს საქართველოს ისტორიაში პირველი მსოფლიო ჩემპიონატი წარმატებით ჩატარდა, რამაც განაპირობა საქართველოს მოხვედრა FIS-ის კალენდარში. დღეს, ჩვენი ქვეყანა შევიცარის, საფრანგეთის, იტალიის, ნორვეგიის, აშშ-ის, კანადის და სხვა წამყვანი სათხილამურო ქვეყნების გვერდით იკავებს ადგილს.

მე მქონდა ბაკურიანის სტუმრობის საამოვნება და ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. საქართველო არის ქვეყანა, რომელიც ახალი ცენტრია ზამთრის სახეობების ღონისძიებებისათვის. აქ დიდი წარმატებით შეძლეს საქართველოში პირველი მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება. ეს ფაქტი გვარწმუნებს, რომ ყველაფერი შესაძლებელია. ამიტომაც მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო მსოფლიო ჩემპიონატის ყველა ორგანიზატორს, რადგან მათ არაჩვეულებრივად გაართვეს თავი საქმეს. - განაცხადა FIS-ის პრეზიდენტმა, იოჰან ვილიამსმა.

„ქართული ოცნების“ დელეგაციის ვიზიტი ჩინეთში დასრულდა

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის ხელმძღვანელობით, მმართველი პარტიის დელეგაციის ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დასრულდა.

20 იანვარს დელეგაციის წევრები შანხაის ახალი, ლინ-განგის რაიონში მდებარე თავისუფალი ეკონომიკური ზონის ხელმძღვანელს, ჭაო იხუაის და შანხაის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ჩენ ძინგს შეხვდნენ, თავსუფალი ეკონომიკური ზონა დაათვალიერეს და მუშაობის სპეციფიკას გაეცნენ.

„დასრულეთ ვიზიტი ჩინეთში, გვექონდა ძალიან ნაყოფიერი შეხვედრები მმართველი პარტიის საგარეო გუნდის ხელმძღვანელებთან, მინისტრთან, მინისტრის მოადგილესთან, ასევე ვაჭრობის მინისტრის მოადგილესთან, ეროვნული სახალხო კონგრესის თავმჯდომარის მოადგილესთან, ასევე ქალაქ შანხაის ხელმძღვანელებთან. პოტენციური არის ძალიან დიდი. ჩვენი სურვილი და მიზანია, გავაღრმავოთ ჩინეთთან თანამშრომლობა სხვადასხვა დონეზე, სხვადასხვა მიმართულებით. შარშან წელი



მოენერა სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმებას, რაც ქინის ძალიან კარგ საფუძველს, რათა გაღრმავდეს პარტნიორობა აბსოლუტურად ყველა სფეროში. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია პოლიტიკური თანამშრომლობა, განსაკუთრებული პოტენციალი გვაქვს ეკონომიკის სფეროში, ეს პოტენციალი მაქსიმალურად უნდა ავითვისოთ, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში, მალაღი დონის შეხვედრები გაიმართა პეკინსა და შანხაიში. „ქართული ოცნების“ დელეგაცია შეხვდა ჩინეთის მმართველი პარტიის საერთაშორისო დეპარტამენტის ხელმძღვანელს, მინისტრ ლიუ ძინჩაოს, მინისტრის მოადგილეს, სუნ ხაიანს, სახელმწიფო საბჭოს განვითარების კვლევის დეპარტამენტის ვიცე-პრეზიდენტს, ჭანგ ლაიმინგს, ჩინეთის ეროვნული სახალხო კონგრესის პრეზიდენტის თავმჯდომარის მოადგილეს სიაო ძიეს, ჩინეთის ვაჭრობისა და კომერციის მინისტრის მოადგილეს ლინგ ძის, შანხაის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ჩენ ძინგს.

მმართველი პარტიის დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ვოლსკი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ჩიქოვანი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ სამხარაძე, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე დავით სუნდუღაშვილი, აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ნინო ნილოსანი და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე პირველი მოადგილე შიმტორ სამიქია.

საარსებო მინიშნა უმცირდა...

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2023 წლის დეკემბერში, ნოემბერთან შედარებით, საქართველოში საარსებო მინიმუმის ოდენობა შემცირდა. საქსტატის ინფორმაციით, მიმდინარე წლის ნოემბერში შრომისუნაროანი ასაკის მამაკაცთა საარსებო მინიმუმი 252.3-ე ლარი იყო, დეკემბერში კი ეს მაჩვენებელი 2 ლარითა და 40 თეთრით შემცირდა და, ჯამში, 249.7 ლარი შეადგინა.

ამასთან, საქსტატის ცნობით, 2023 წლის ნოემბერთან შედარებით, დეკემბერში 2 ლარითა და 30 თეთრით არის შემცირებული საშუალო მომხმარებლის საარსებო მაჩვენებელი.

100 წლის გოგონა გვარამია გვარამია თბილისში აღიარდა

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა ოთარ არბოლიშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილმა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა სოფელ ანდუზიტში მცხოვრებ გვარამია გვარამიას 100 წლის იუბილე მიულოცეს.

ვლადიმერ გვარამიას ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 1000 ლარი გადაეცა, ყოველთვიურად კი ის 200 ლარს მიიღებს.

- გილოცავთ 100 წლის იუბილეს! მინდა დიდხანს სიცოცხლე და მსნეობა გისურვოთ. თქვენი ღვაწლი ჩვენს მუნიციპალიტეტში ყოველთვის დაფასებული იქნება, - მიმართა ვლადიმერ გვარამიას ოთარ არბოლიშვილმა.



მადლობა, პულისსმირაბისათვის აღაშენებო!

ინტერის რამდენიმე ძალიან ცივი და ყინვიანი დღეები რომ დაიჭირა, ბორჯომში მომინა ყოფნა გვიან საღამომდე. ჩარხინჯლის მოსაცდელზე ცხრის ნახევარზე ვიყავით მე და ჩემი მოზარდი ამხანაგი, თხოველური წლის ნატა. ცხადია, უკვე გვარანად ბნელოდა და ძალიან ციოდა. იმედი გვქონდა, რომ მალევე გამოჩნდებოდა ბაკურიანისკენ მომავალი ვინმე ღვთისწიერი მძღოლი, რომელიც ჩვენც თან გაგვიყვლებდა და დიდხანს არ მოგვიწევდა მოსაცდელზე ცასცახი. ძველი ახალი წლის დღეები იყო, ვფიქრობდი, ამ დღეებში მანაც ყველა გულისხმიერი და ხალისიანი, თან საკურორტო სუნონა, ბევრი ხალხი მოძრაობს ბაკურიანისკენ და ვიღაცა მანაც გამოჩნდება, რომელიც აქ არ დაგვტოვებს. მწარედ შევცდი. ჩარხინჯალზე მართალია ყინვის გამო სულიერი არ ჭაჭანდება, ყველა სახლებში შეუფუთულიყო და საახალწლო სუფრის ნარჩენებს ბოლოს უღებდნენ, თუმცა ბაკურიანისკენ ძალიან აქტიურად მიედინებოდა მანქანების რიგი. ამიტომ ვერ ძალიან გავოცდით, რომ არავინ გაგვიჩერა, შემდეგ კი სასონარკვეთილებაში ჩავგდით. მაგრამ უფრო მეტად მე, ვიდრე ჩემი ახალგაზრდა ამხანაგი, რომელიც როგორც ახალგაზრდობას სჩვევია, ქურთუკგადაღებული არჩენდა უყურებდა ამ სიტუაციას, ხუმრობით ქოქოლას აყრიდა ყველა გამველ მანქანას და ტელეფონში ამხანაგებთან ურთიერთობაც ცხადია არ ავიწყდებოდა. ბევრმა მანქანამ ჩავვიარა, მაგრამ გაჩერება არცერთს არ უფიქრა. წესით ათის ნახევრისთვის თბილისიდან ბაკურიანისკენ მიმავალი მარშრუტა უნდა გამოჩენილიყო და მის ველოდო როგორც მანქანას, მანამდე კი გვარიანად გავითოშუთ. ამ მარშრუტის მძღოლთან სატელეფონო საუბრისას გაიკვავა, რომ ის კონკრეტული რისი რატომღაც იმ საღამოს არ იქნებოდა. ასეთ სიტუაციაში ადამიანს ძალაუფლებურად ოთხმოცდაათიანი წლების ტრანსპორტთან (თუ უტრანსპორტობასთან) დაკავშირებული ცნობილი შავბნელი სიტუაციები გაახსენდება. სახლში მიღწევა რომ განსაკუთრებული დღესასწაული იყო. სიცივისგან გონებად და მუხებინდა და სახლში წასვლის ალტერნატიული აზრის მოფიქრება კი არა, საერთოდ ვეღარ ვაზროვნებდი. მთელი ამ ერთი საათის განმავლობაში ერთადერთმა მანქანამ გაგვიჩერა, რომელიც ჩვენდა სამწუხაროდ წაღვერში მიდიო-

და. წაღვერდი მძღოლი რომ გაუშვით, ცოტა კი ვინანეთ, თუმცა ვერ მივხვდი, რა აზრი ქონდა წაღვერში ვიყურებდით თუ ჩარხინჯალზე. მაგრამ ცოტა გონება გამინათდა და ახლობელთან დარეკვა გადავწყვიტე ბაკურიანში, რომელიც ათი საათის შემდეგ ამთავრებდა სამსახურს და შეეძლო ჩვენი შევლა და ამ შემთხვევაში მისი ჩამოსვლა რასაკვირველია წაღვერდზე უფრო ადვილი და სწრაფი იქნებოდა, ვიდრე ბორჯომამდე. რადგან ეს იდეა გაგვიჩნდა, ახლა უფრო მეტი ენთუზიზმით გავეფინეთ გზაზე. გედად თბილისი-ბორჯომის სარეისო მარშრუტს გამოჩნდა, რომლის მძღოლი წაღვერდი აღმოჩნდა და რეისიდან სახლში, წაღვერში ბრუნდებოდა. მარშრუტსა სუფთა, განკრიალებული და ძალიან თბილი აღმოჩნდა, რაც, მოგესხენებათ ძალიან იშვიათობაა. რომ ჩავჯექი, ასე მეგონა, მკვდრეთით აღვდექი. სასიათი იმანაც არ გამიფუჭა, რომ ასეთი სიმყუდროვე მხოლოდ წაღვერდზე გვხვდა წაღვერდზე. სამაგიეროდ საბოლოოდ გავლოცით. მძღოლმა, ახალგაზრდა კაცმა, რომლის სახელი და გვარი სამწუხაროდ არ ვიცი, ძალიან დიდი ბოდიში მოგვისხადა, ძალიან დაღლილი ვარ და ვერ ავიყვანთ ბაკურიანში, თან ამას რომ გვეუბნებოდა, ეტყობოდა რამხელა ძალისხმევა დასჭირდა. მგზავრობის ფული არ გამოგვართვა და წაღვერს ცენტრში ჩამოგვსვა. მადლობა ამ ადამიანს, ორი კინკლა გოგო უყურადღებოდ რომ არ დაგვტოვა იმ სიცივისა და სიბნელებში. ჩვენ კი იქვე მალაზია „ლიბრუს“ შევფარეთ თავი. სანამ იქ ჩემს ახლობელს დავურეკე და ჩემი სიტუაცია აუხსენს, სანამ ის თავის საქმეებს მორჩა ბაკურიანში და ჩვენს „გადასარჩენად“ დაიძრა, „ლიბრუსში“ ვიყურებდით ერთი საათი. ერთი კი შევაპარეთ მოლარე კონსულტანტებს, შეიძლება თუ არა, რომ მალაზიის სივრცეში დავლოდებოდით მანქანას, რაზეც მშვიდი და ადეკვატური დადებითი პასუხი მივიღეთ. ერთი საათის განმავლობაში ვინრო მალაზიის რუგებში ბორჯომს მოვუწიეთ, დავიზიარეთ თაროების შემადგენლობა, ვიყიდეთ და დავლოცეთ ცხელი ყავა, ჩემმა ახალგაზრდა მეგზურმა კიტრის

წილი და მზესუმზირა დააგემოვნა. ხალხი აქტიურად შემოდიოდა, ვაჭრობდნენ და ბრუნდებოდნენ თავთავიანთ თბილ სახლებში, ჩვენ კი ვიყავით და ვიყავით უსასრულოდ. რისი თქმა მინდა - მთელი ამ ხნის განმავლობაში მალაზიის მოლარე კონსულტანტებს საეჭვო მზერით წამოთავ კი არ შემოუხედავთ ჩვენთვის. სულ მეგონა, რალაცა დროის გასვლის შემდეგ გვეტყოდნენ, რომ ამდენი ხანი არ შეიძლება ასე დიდხანს მალაზიაში უაზროდ ბოდილი. მაგრამ ყურადღებასაც არ გვაქცევდნენ, თითქოს ზუსტად იცოდნენ, რომ არავფრს ცუდს არ ჩავიდნენ, ხელს არ გავაყოლებდით არავფრს. ასეთმა ნდობამ გული ამიჩუყა, მათ სიმშვიდემ ჩვენს მიმართ კიდევ ერთხელ დამიბრუნა რწმენა ადამიანების მიმართ. კონსულტანტები, სამი-ოთხი ქალი აუღლებდნენ, ხმის ანევის და წუნუნის გარეშე მშვიდად აკეთებდნენ მინდობილ საქმეს. სამწუხაროდ, არც მათი სახელები ვიცი, გავიგე მხოლოდ, რომ ისინი ყველა ბორჯომის რაიონის სოფლებიდან არიან. საბოლოოდ, როდესაც როგორც იქნა ჩემმა ახლობელმა მოგვაცოცხლა ბაკურიანიდან და გველიერა სახლში წასვლა, რალაც განსაკუთრებულად სასიამოვნო რიტუალი იყო ჩემთვის ამ ქალების მიმართ და ასეთი გადამდები სიმშვიდისთვის. ჩემმა დალოცვილმა ახლობელმა კი (ცალკე მადლობა მას) სულ სიცილ-კისკისით ამოგვაროდა ბაკურიანამდე, სახლის კარამდე. თუმცა მე თუ თავარი-ისმტრევეთ შევევარი სახლში, სითბოში და ცხელ ჩაის ვეცი, ნატამ, ჩემმა პატარა ამხანაგმა, სასიეროდ გაუხსნა (აჰ, ახალგაზრდობაზე).


ამბობენ, ნათელი ადამიანები ცხოვრების შავბნელ მომენტებში უფრო კარგად გამოჩნდებიან ხოლმე. ამ საღამოსაც ასე იყო.

რუსუდან სხირტლაძე

ისპორიის ლაიკინთაში

წმინდა პეტრეს აკლდამის ძიებაში

1939 წლის 10 თებერვალს გარდაიცვალა რომის პაპი პი XI. რომში წმინდა პეტრეს ტაძარში ათიათასობით ქრისტიანი ლოცვით და გლოვით ეთხოვებოდა კათოლიკური ეკლესიის პატრიარქს. იმ დროს ტაძრის სამხრეთ კედელთან მუშები ჩქარა ტემპით იღებდნენ იატაკის მარმარილოს ფილებს და გარდაცვალებულს უმზადებდნენ სამუდამო განსასვენებელს, როცა გასხენს პაპის ხელით დანერგილი ანდერძი, აღმოჩნდა, რომ მისი სურვილი იყო, იგი დაემარხათ ტაძრის სამხრეთ კედელთან, პაპი XI-ის გვერდით. სწორედ გადმოცემით ამ ადგილზე უნდა ყოფილიყო იესო ქრისტეს პირველი მოწაფე წმინდა პეტრე დამარხდეს.



როცა გამოაცხადეს პაპის ანდერძი, ეკლესიის საქმეთა მმართველმა კარდინალმა პაჩელომ გასცა განკარგულება, მოემზადებინათ განსვენებულისთვის შესაფერისი აკლდამა. არქიტექტორებმა დაათვალიერეს მითითებული ადგილი, აღმოჩნდა, რომ იქ ახალი საფლავისთვის ადგილი აღარ იყო. მაშინ კარდინალმა ბრძანა, ფრთხილად გაეთხარათ ტაძრის კედლის ფუნდამენტი და ქვეშ გამოენთავის-უფლებინათ საჭირო ფართობი. საფლავზე მომუშავე ხელოსნებმა უცებ შეწყვიტეს მუშაობა. სამუშაოების შედამხედველმა ყურადღებით დაათვალიერა მინოდებულ მინის მასა და სასწრაფოდ კარდინალ პაჩელისკენ გაემართა. ამ შედამხედველის სახელი და გვარი იყო ლუდვიგ კასი, ის იყო გერმანელი, შტონდა თეოლოგიის დოქტორის ხარისხი და იყო ეკლესიის ისტორიის პროფესორი. თავის დროზე რომის პაპმა პი-XI-მ მას დავალა გამოეკვლია მთელი ეკლესიის მინისქვეშეთი. იგი რამდენიმე წლის განმავლობაში გულდასმით ასრულებდა პაპის დავალებას. ამ დროს მან აღმოაჩინა 359 წელს დაკრძალული რომის პრეფექტის აკლდამა, ასევე გერმანიის იმპერატორის და დედოფალ ქრისტინას სარკოვავები. ყველას სურვილი იყო, აქ ყოფილიყო წმინდა პეტრეს საფლავი.

კარდინალ პაჩელის მთელი ცხოვრების მანძილზე ანუხებდა პეტრეს საფლავის საიდუმლოება. როცა კარდინალის კონკლავმა პაჩელი ახალ რომის პაპად აირჩია და მიიღო პი XII სახელი, იგი ჩავიდა ეკლესიის იატაკქვეშეთში და ყურადღებით დაათვალიერა ლუდვიგ კასის მითითებული ადგილი. ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ, მან მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომლის გაფორმებასაც ვერ შეეძლო მისი წინამორბედი პაპები, დაეწყო არქეოლოგიური გათხრები ეკლესიის ფუნდამენტის ქვეშ. მას მტკიცედ სწამდა, რომ იპოვებდა პეტრეს საფლავს. პი XII-ის გადაწყვეტილება უაღრესად სარისკო და პრაქტიკული თვალსაზრისით ძალიან საეჭვო იყო. ვერ ერთი, არქეოლოგებს სჭირდებოდათ განსაკუთრებული სიფრთხილით ეწარმოებინათ სამუშაოები, ვინაიდან შეიძლებოდა

დარღვეულიყო მთელი ეკლესიის მყიფე ნონასწორობა. ვერ კიდევ 1822 წელს, როდესაც პაპი VI-ის ბიუსტს დგამდნენ, ხელოსნებმა შეამჩნიეს, რომ სადრენაჟო სამუშაოებს შეიძლება მთელი სენობის ჩამოსვლა გამოეწვია. უდიდესი სიფრთხილით და ათასი გამაფრთხილებელი ზომების მიღებით შეძლეს მათ სამუშაოს დამთავრება, მაგრამ მთავარი მანაც სხვა იყო, ვაითუ წმინდა პეტრე ვატიკანში საერთოდ არ იყო დასაფლავებული, ვაითუ არქეოლოგიური სამუშაოები ყოველგვარი შედეგის გარეშე დამთარებულიყო? არადა, იყვნენ ისტორიკოსები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ წმინდანი რომში საერთოდ არ ყოფილა. ევანგელიური ტექსტების მიხედვით, იგი ყოფილა ანტიოქიაში, პონტოში, ბითინიაში, კაბადოკიაში და მაკედონიაში. იქიდან იგი ჩავიდა რომში, სადაც 25 წელს ცხოვრობდა, მაგრამ შეიძლება ამ ტექსტებზე დაყრდნობით პაპი XI-XII-ს მიეღო. ასეთი სარისკო გადაწყვეტილება შეიძლება წმინდანი მართლაც იყო რომში, იქვე აღესრულა, მაგრამ იყო კი იგი დასაფლავებული იმ ადგილზე, სადაც შემდეგ ეკლესია აშენდა.

ამრიგად არქეოლოგიურ გათხრებს შეეძლო როგორც გაეძლიერებინა, ისე დაეუსუსტებინა პაპის და ეკლესიის ავტორიტეტი. პაპმა პი XII-მ განაწილა რა ყველა შესაძლო ვარიანტი, მიიღო გადაწყვეტილება, დაეწყო არქეოლოგიური გათხრები. მის ხელმძღვანელებად პაპმა დანიშნა ორი იეზუიტი, ვერუა და კიშბაუმი, ასევე არქეოლოგები აპოლონ გეტი და ბატონი ხოსი. გათხრების შესახებ არავინ არავფერი იცოდა. მუშები მკაცრად გააფრთხილეს, რომ თვით ოჯახის წევრებთანაც არ ესაუბრათ ამ საკითხზე.

მაშინ დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, რომელიც თითქმის 6 წელს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში სამუშაოები შეუფერხებლად გრძელდებოდა. როდესაც ომი დამთავრდა, მსოფლიომ მხოლოდ ის გაიგო, რომ სამუშაოები კვლავ გრძელდებოდა. ყველას აინტერესებდა. ეკლესიაში რა მიზნით ტარდებოდა სამუშაოები, რატომ იყო ყველაფერი ასე გასაიდუმლებული და ამ ხნის მანძილზე რა შედეგებს მიაღწიეს არქეოლოგებმა? თავის საჯარო გამოსვლებში პაპი პი XII ისეთ ორპიროვან განცხადებებს აკეთებდა, რომელიც არ აუმაყოფილებდა, როგორც მონაშენე საზოგადოებას, ისე მეცნიერებს.

თამაზ ჩიკვაძე. (გაგრძელება იქნება)

წმინდა პეტრეს აკლდამის ძიებაში

რინგი - ეს არის ეკოპროექტი, რომელიც განსაზღვრავს პროექტის ანარმონს. მისი პროექტია ძირითადად კოსმეტოლოგიური და სახის მოვლის საშუალებებს წარმოადგენს. მისი მიზანია, საზოგადოების ჯანსაღი ცხოვრება და გარემოზე ზრუნვა ეს გრინგის მთავარი კონცეფცია - ცხოვრება ქმარის გარეშე რაც ძალიან წინსწინდურია თანამედროვე სამყაროში. პროექტის შედეგებიც ბოლოდროინდელია. ეს კომპანია 600-მდე სახეობის პროდუქციას აწარმოებს და სამომავლო გეგმები ძალიან დიდი და ამბიციური აქვს.



ამ პროექტში ჩაბმა და დასაქმება ნებისმიერ მსურველს შეუძლია ცხელა სოციალური ფენის წარმომადგენელია აქ ჩაბმული საკუთარი ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. პროექტში დასაქმებული არან მრავალშრიანი ოჯახები, სოციალურად დაუცველები და ემიგრანტებიც.

ბაკურიანში ამ პროექტის შესახებ პირველი სტეფა მნიშვნელოვანია. ომანიანად თქვა და ენერჯიტივად, საქმისადმი ერთგული დამოკიდებულებით. თავიდან უხსტად „ქიმიის გარეშე“ პროექტში დაიანტრეს ანის შემდეგ ის გრინგის გუნდის წევრი გახდა. ჩვეული ენთუზიზმით განსულო რეკომენდაციები შედეგს არ აგვიანებდა. მათა კომპანიაში დაინაშინდეს, ის ახლა საკმაოდ მაღალი ოსტატის სტატუსით მუშაობს. მათა ძალიან ბედნიერად გრძნობ თავს, რომ ადამიანთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში დიდი წვლილი შეიტანა. დაინაშინდეს შემდეგ მან ბაკურიანში თავის თანამშენებელ ბაკურიანელი ფაბრიკაში დაიწყო.

ფაბრიკის გუნდის ახალი წევრია, თუმცა უკვე აღწერილია სასურველი არა მარტო კომპანიაში მუშაობის შესახებ, არამედ პროექტის უმაღლეს ხარისხზე.

რა თქმა უნდა გრინგის კომპანიაში ჩემი გაცნობა მით პროექტის გამოცხადებით დაიწყო, - გვიყვება ფაბრიკის მენეჯერი, რომელიც პროექტის მომხმარებელი, ჩემი ყურადღება მისმა ჯანსაღმა შემადგენლობამ მიიპყრო, რადგანაც აღწერილი

ვარ. სამყარო ქიმიის გარეშე - ეს ამბიციური განაცხადია, თუმცა თამაზად ვამბობ, რომ გრინგის პროექტია მართლაც საოცრებებს სჩადის. პირველივე პროდუქტი, რომელიც შეიქმნა, აღმოჩნდა საოცრად ეფექტური ჩემი ალერგიული კანისთვის. რამდენიმე წელი აქტიური მომხმარებელი ვიყავი, შემდეგ არაერთხელ მივიღე შეთანხმება და ბოლოს გადაწყვიტე შეთანხმებოდა ამ კომპანიაში. პროექტის მიმდინარეული შემადგენლობა ჩემთვის ყველაზე მიმზიდველია. მაგიდის ტელეფონიც კი ნანოტექნოლოგიით არის დანადებული და გამოყენებისას მას მხოლოდ თბილი წყლით დასველება სჭირდება გავქვს საკვები დანამატებიც. ამჟამად მე ექვემ მომხმარებელსა და ოფიციალური წარმომადგენლის სტატუსი მიქვს. უკვე მეცა ერთგული მყიდველებიც წლებია სათბილამურო ინსტრუქტორად ვმუშაობ ბაკურიანის სათბილამურო ტრასებზე. როგორც თითქმის ყველა ბაკურიანელი, მეც ბავშვობიდან ვიდექ თბილამუროზე. ოროივე წლის წინ მიმე ტრამეა მივიღე სოხალის დროს, მოყვარული მითბილამურე დამეყვანა ხელი მივიტეხე და სხვა ტრამეების გამოც დიდი ხნით გამოვიფეთი ინსტრუქტორობა. ამ ფაქტმა გადაამწყვტინა გრინგის კომპანიაში მუშაობა. სადაც ფორსიერ დატვირთვა არ არის საჭირო.

ძალიან კმაყოფილი ვარ ყველაფერზე. ჯანსაღი პროექტია მომხმარებელს, რადგან ჯანმრთელობა ყველაზე მთავარია!

რუსუდან სხირტლაძე

ქალმაცხენები სწრაფი სკელში



ჩვენს დღევანდელ ჩანახატში გაამბობთ ქალბატონებზე, რომლებსაც სწრაფი ხელები აქვთ და ახალდაბის ცნობილ უგემრიელეს საჭაპურსა და ლობიანს აცხობენ. სპეციალურად დამზადებულ ლუმელში, რომელსაც 6 განყოფილება აქვს, განუწყვეტლივ იღება და იკვებება კარი, სადაც სწორედ ცხობის პროცესი მიმდინარეობს სამი ქალბატონი ელვის სისწრაფით ემსახურება თითოეულ მსურველს.

ნინო ჩადუნელს, მარეზ ჩალაურსა და ნატო გოგალაძეს დიდიდან საღამომდე ყოველ წამში გათვლილი სამსახური აქვთ. მათთვის ეს ჩვეულებრივი მუშაობის რიტმი, მაგრამ უცხო თვალისთვის წარმოუდგენლად რთული და ყველაზე სწრაფი ხელების მფლობელები არიან. ეს პირადად უნდა ნახოთ და დააკვირდეთ. უგემრიელეს ახალდაბის საჭაპურსა და ლობიანს როგორი სისწრაფით და თანმიმდევრულად ამზადებენ, სანამ თქვენ რიგში დგახართ და ელთ პასუსს. პირველი კი თვითონ აკვირდება და ხედავს საჭაპურის მომზადების პროცესს. ასე რიგში დგომისას, ზამთრის სუსხიანი დღეებიდან, აქვე გამოსულ სიტბსაც კი ემურება იქვე მდგომი, ვიდრე მისი შეკვება გამოცხვება.

ცოცხალი რიგი და ზარები თბილისიდან მომავალი მგზავრებისთვისაც არ წყდება, რომლებიც ახალდაბაში გავლისას საგზლად უგემრიელეს ქართულ სამზარეულოს სურნელს და გემოს გაიყოლებენ ხოლმე, ერთადერთ შემთხვევაში, თუ რიგში დგომისთვის ისინი მზად არიან. წინააღმდეგ შემთხვევაში დარეკვით შეუძლებელია. პროორიტეტულია მხოლოდ ადგილზე, ამ შემთხვევაში რიგში მდგომა.

რეალურად მართებულია, როდესაც ამბობენ, რომ კარგ პროდუქტს რეკლამა არ სჭირდება, კაფე „ფორია“ ბორჯომის რეალობაში სწორედ ასეთია.

ქალბატონებს მარჯვე, გამრჯე და უსწრაფესი ხელებით თქვენც უნდა იცნობდეთ, რომლებიც გაზეთი „ბორჯომის“ ფოტობიურებიც მოხვდნენ.

იზა იანვარაშვილი

სანდრისო აგაბის სამხაროვი

გთხოვთ დაიმახსოვრეთ

ყაღაზე დიდი უმედი - გყვილია;
ყაღაზე დიდი მგარი - საკითარი თაშია;
ყაღაზე დიდი ღანაშაული - უმადრობაა;
ყაღაზე დიდი ღანაშაული სახილვი - მიჯანუბა;
და ღანაშის უმადრო უმედი დადგომაა;
ყაღაზე დიდი ღანაშისი - იმადის დაკარგვაა;
ყაღაზე დიდი ღანაშისი - იმადის დაკარგვაა;
ღიკსაშის მიჩაქაღაა;
ყაღაზე საკითარისაშვი - სიმატლავი მს-
ოქარაა.

გაგყვი, რომ მსოფლიო არს იხი დიდი,
ყაღაზე უმადროდ რომ დანი მისია,
მსოფლოდ ღმართა იხის, ვინ რისი დიკსია,
უნე უნი იხოდ, სისი კი სხვისია.

ოქსოვრდვი ერთ მზის საათზე არის ნარეკა:
„დრო გდის - პასუს ვაგათი!“

რა დიდი სიმატლავი ამ სიგყავივი, სიგყავივი
დიდ სიმატლავს უნიშავს,
პარსდონ დაკარგოთ დრო... პარსდონ! ის ქალზე
ქვირსანია!

აღამიანების უმადრობა დაღაშავივი მიიყვა-
ნა აღამიანი, დრო მგად ქვირსანია. დაღაშავივი
24 საათი კი არა, 48 საათის რომ იყოს, ვინე
პარსანია.

ქვიანი პარსდონს პარის პარაქს უმკითხავს,
ის რომე ხედავს პარი არა პარს დაპარკს
ღვიდს პარკს.
თუკი აღამიანი ვარ იგავს რას უგნევიანი, ის
საკითარ თავს კი არა, თქვენ ჩავთვლით სულ-
დად.

ქაკლ იხვი

სიგყავივი სულს თავსანაშავია, რომელიც დრ-
მად განიხვიც ყოველგვარ აღამიანეკ ყყენას.
ქვირსო უნივი

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის თანამშრომლები თან-
გრძობას უცხადებენ მარიზა ჯიქას დედის
ცისანა ჯიქას
გარდაცვალების გამო.
მერაბ ჯანაშვილი და ნათელა იქტიტიე სამძიმარს
უცხადებენ ლელა და ლაშა ლაფაჩებს ბებუის
ცისანა ჯიქას
გარდაცვალების გამო.

სანდრისო აგაბის სამხაროვი

ჩვენი ხეობის მკვიდრი, წაღვრული 87 წლის ვეტერ-
ანი სამთო-მოთხილამურე ბატონი ელგუჯა მორჯომ-
იძის სოლიდურ წლებს არ ემორჩილება და აგერ
თითქმის ათი წელია, რაც მსოფლიოს ცნობილ ვეტ-
ერან მოთხილამურეებს ტოლს არ უდებს და წარ-
მატებით ასპარეზობს ევროპის ცნობილი ქვეყნების
(ავსტრია, იტალია, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია
და სხვა) სამთო-სათხილამურო ტრასებზე ასპარეზო-
ბისას.

12-14 იანვარს ავსტრიის სამთო-საკურორტო ქალაქ
ალპარტალში მსოფლიოს ვეტერან მოთხილამურეთა
გაერთიანების „ფისას“ თაოსნობით გამართულ შეჯი-
ბრებაში, სადაც სხვადასხვა ასაკის 200-ზე მეტი
სამთო-მოთხილამურე ასპარეზობდა, 87 წლიან ბა-
ტონმა ელგუჯამ 1500 მეტრთან გიგანტურ სლა-
ლოში ჩემპიონობა მოიპოვა. მკვერი სანუგეზოვი
ჯილ-
დოთი დაიმშვენა, რედაქციაში გვეწვია და ვეტერან
სპორტსმენთა შეჯიბრების შესახებ დიდხანს გვე-
ცოს სათხილამურო ტრასაზე მოუწვევს გამოსვლა, 9-11 მარტს
ჩეხეთში, ხოლო 4-7 აპრილს
ავსტრიაში ვეტერანთა მსოფ-
ლიო ჩემპიონატზე იასპარე-
ზებს).

ბატონი ელგუჯა ორჯონი-
კიძე ერთადერთი ვეტერანი
სამთო-მოთხილამურეა
საქართველოდან, რომელიც
ასეთ რთულ ტრასებზე ას-
პარეზობს. ამიტომაც გადან-
ყვიტეს რესპუბლიკის
ტელეუზონალის ტელემა ბატონ
ელგუჯას ტურნირების მზა-



როგორც საუბარში გაირკ-
ვა, ვეტერან სპორტსმენთა
ფედერაცია ყოველწლიურად
ატარებს შეჯიბრებებს და
მასში მსოფლიოს არაერთი
ქვეყნის ვეტერანი სამთო-მოთ-
ხილამურე მონაწილეობს.
როგორც წესი, სლალომის
საშეჯიბრო ტრასა ფაქტურად
თავიდან ბოლომდე ყინულიანია
და ყველა ვეტერანი ვერ
ბედავს ამ სამომ ტრასაზე
ასპარეზობას. როგორც ბატონმა
ელგუჯამ გვითხრა, 91 წლიან-
თა შორის ასპარეზობაში მს-
ოლოდ ერთი ავსტრიელი ვეტ-
ერანი ასპარეზობდა. ვეტერან
სპორტსმენთა შეჯიბრი მეტად
პოპულარულია ევროპისა და
ამერიკის კონტინენტზე. ბატონმა
ელგუჯამ სამომავლო გეგმე-
ბიც გაგვაცნო. 8 თებერვალს
იტალიაში (კორტინა დამპე-

სამთის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები სახიმოდ გაიხსნა

განგონში (სამხრეთ კო-
რეა) საზიმიოდ გაიხსნა ზამ-
თრის მეოთხე ახალგაზრ-
დული ოლიმპიური თამაშე-
ბი.
სპეციალური მხატვრული პრო-
გრამის შემდეგ გაიმართა მონაწ-
ილე ქვეყნების დროშების აღ-
ლუმში. ტრადიციის შესაბამისად,
სტადიონზე შემოიჭანეს ოლიმპი-
ური დროშა და დაანთეს
ოლიმპური ცეცხლი.
დამსწრე საზოგადოებას მის-
ასალმებელი სიტყვით მიმართა
საერთაშორისო ოლიმპიური
კომიტეტის პრეზიდენტი თო-
მას ბახმა.
გახსნის ცერემონიაზე საქართვე-
ლოს მედროშეები იყვენენ
მოციგავე ლუკა მიქაბერიძე
და ტრამპლინიდან მსტომელი
ესმირალდა ალიევი.
ზამთრის ახალგაზრდულ
ოლიმპურ თამაშებს განგონი
19 იანვარიდან 1 თებერვალის
ჩათვლით უმასპინძლებს, სადაც
სპორტის 7 სახეობის 15 დის-
ციპლინაში მონაწილეობას მი-
იღებს 1900-მდე სპორტსმენი, მათ
შორის საქართველოდან სპორტის
3 სახეობაში (ფიგურული ციგ-

გაზეთი „ბორჯომის“ რედაქციის თანამშრომლები თან-
გრძობას უცხადებენ მარიზა ჯიქას დედის
ცისანა ჯიქას
გარდაცვალების გამო.
მერაბ ჯანაშვილი და ნათელა იქტიტიე სამძიმარს
უცხადებენ ლელა და ლაშა ლაფაჩებს ბებუის
ცისანა ჯიქას
გარდაცვალების გამო.
გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №240459
რედაქციაში შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს
თვითონ არ იზიარებდეს.
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2 ტელ: 22-29-65. იხუდება შპს გამომცემლობა „საარმა“.
თბილისი, თვედორე მღვდლის №57.
borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე
გაზეთი „ბორჯომის“ რედაქცია
ბატონი ელგუჯა ორჯონი-
კიძე ერთადერთი ვეტერანი
სამთო-მოთხილამურეა
საქართველოდან, რომელიც
ასეთ რთულ ტრასებზე ას-
პარეზობს. ამიტომაც გადან-
ყვიტეს რესპუბლიკის
ტელეუზონალის ტელემა ბატონ
ელგუჯას ტურნირების მზა-